

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

ქ. გარდაბანი

10 ოქტომბერი 2025 წელი 12⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

რიგგარეშე სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი:

სამირ ხიალოვი	ლევან ნიჟარაძე
ზაზა ონიანი	მაია შამედოვა
დავით ჭინჭარაული	შახადატ მეხრალიევი
სახმან მირზოევი	ლია მეტრეველი
რასიმი ისაევი	კამრან ბაბაევი
ბეთქილი კახიანი	ლევანი ბეგლარიშვილი
ისლამ მამედოვი	გუსეინკულუ მუსაევი
გიორგი გურულიშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
დავით ებილაშვილი	ზურაბი კორახაშვილი
ანი მანჩხაშვილი	ლალი კახურაშვილი
თორნიკე ქავთარაძე	ანარ მურადოვი
ზურაბი ბენდელიანი	ზაბიტ მამედოვი
თამარი ხაჩიძე	ბახლულ ბაირამოვი
მირზა მირზოევი	
ფლორა ასკაროვა	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შორენა ჭუმბურიძე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ნათია აკოფაშვილი.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ გედეხაურმა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: ნათია აკოფაშვილი
თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოთხმა წევრმა უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა მომხსენებლებს სთხოვა, რომ საკითხები განსახილველად გამოეტანათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ვინაიდან, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, საკითხი საკრებულოს წევრებს განსახილველად წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ, მომხსენებელმა დეტალურად განმარტა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, კერძოდ:

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გამოთავისუფლდა 70,000 ლარი, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის წერილი საფუძველზე შემცირდა დაფინანსება შემდეგი პროგრამებისთვის:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 15,000 ლარი;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა - 5,000 ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 10,000 ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა - 6,000 ლარი;
- მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 12,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა - 3,500 ლარი;
- სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების დახმარების პროგრამა - 10,000 ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 12,000 ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 6,000 ლარი;
- უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები - 2,000 ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 2,000 ლარი;
- უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა - 3,600 ლარი;
- ბავშვთა პროგრამები - 4,400 ლარი;

სულ 161,500 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 100,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 21,500 ლარი;
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა - 10,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 20,000 ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 10,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოთხმა წევრმა უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მიღებულია დადგენილება №11 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 2

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ნათია აკოფაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე, მომხსენებლის განმარტებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების აუცილებლობა უკავშირდება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დადებას, რომლის თანახმად დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილებას.

ხელშეკრულების თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტს დაეკისრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან

დაკავშირებული შემდეგი ამოცანების შესრულება: შენობების რეაბილიტაცია, მხარდაჭერა პოსტ-ავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა, დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა, გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შემის შესყიდვა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოთხმა წევრმა უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მიღებულია განკარგულება №85 - საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



მიხეილ გედეხაური